



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000032530113119

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 26

06 / ივნისი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მატანში მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის შპს „მარანი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ა. ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის დ. ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს სოფელ მატანში მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4227კვ.მ. მიწის ფართის შპს „მარანი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი: 50.11.36.050.
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი ობიექტის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური- 7106.0 ლარის (შვიდიათას ას ექვსი) ოდენობით.
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10(ათი) წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სანსამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

